ხელშეკრულება №ო/258
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი 28 დეკემბერი 2012

ერთის მხრივ სსიპ ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მისი მმართველი დავით საყვარელიძის სახით რწმუნებული მამუკა ბიჭაშვილი (ბრძანება №170, 17.12.12) (მისამართი: რუსთაველის გამზ.№25) შემდგომში "შემსყიდველი"

და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე მისი დირექტორი თამაზ ანდღულაძე მისამართი: თბილისი აღმაშენებლის გამზირი №103 (შემდგომში „მიმწოდებელი"),

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №99 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 2013 წლის 11 იანვარის ღონისძიებაში (საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 80 წლისა და აღსაყდრებიდან 35 წლისთავის იუბილე) ანსამბლ "მართვისა" და ანსამბლ "ერქვანის" მონაწილეობის მიღება (მსახიობის მომსახურების შესყიდვა). **Cvp 92312000**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.
3.2. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1250(ათას ორას ორმოცდაათი) ლარს. აღნიშნული თანხის გადარიცხვა იწარმოებს წინასწარი ანგარიშსწორების წესით მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქონლის მიწოდების ადგილი

4.1საქონლის მიწოდებისა და მომსახურების ადგილი: ქ. თბილისი, მელიქიშვილის №1

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1**მიმწოდებელი** ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2013 წლის 12 იანვრამდე.
ბ) *არ განახორციელოს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის გახარჯვა მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე. ღონისძიების ჩაშლის ან მიმწოდებლის მიერ ღონისძიებაში მონაწილეობის ხელიშემშლელი გარემოებების შემთხვევაში თანხა დაბრუნდება გადმორიცხვის ანგარიშზე.(საქართველოს კანონი "სახ. შესყიდვების შესახებ" 21[1] მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი).*
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
5.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხარისხი და გარანტია

6.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
7.2 ინსპექტირებას განახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ადმინისტრაციის დირექტორი ე. გელაშვილი.

8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების გაწევა წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით.
8.2მომსახურების მიღებას აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ადმინისტრაციის დირექტორი ე. გელაშვილი.

9. ანგარიშსწორება

9.1ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.
9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური წინასწარი გადახდის ფორმით 31 დეკემბერს.

9.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 20 თებერვლამდე

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები:

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „შემსყიდველს" ხოლო მეორე – „მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
მისამართი: რუსთაველის გამზ.№25
ს.კ. 203853954
ქ. თბილისი სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: 33020101
მმართველი დავით საყვარელიძე
რწმუნებული
მ. ბიჭაშვილი

"მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე
ს.კ. 202056069
ს/ს „ლიბერთი ბანკი" LBRTGE22
ანგ№ GE41LB0115174053177000
დირექტორი
თამაზ ანდღულაძე